

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 01-03-03

ქ. თბილისი

17 იანვარი 2019 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ბერიკა შუკაკიძის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22.

მიმწოდებელი: სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ვახტანგ დევანოსიძის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, ვ. ბოჭორიშვილის ქ N 88/15;
საიდენტიფიკაციო კოდი: 205023856;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა GE12TB1100000108467708.

ერთი მხრივ, შემსყიდველი და მეორე მხრივ, მიმწოდებელი ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების ნომერი NAT 180020871) გათვალისწინებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. „მზღვეველი“ - სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და „დამზღვევთან“ დებს წინამდებარე ხელშეკრულებას;
- 1.2. „დამზღვევი“ - პირი, რომელიც დებს წინამდებარე ხელშეკრულებას „მზღვეველთან“ და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას;
- 1.3. „დაზღვეული“ (მოსარგებლე) – „დამზღვევთან“ შრომით ურთიერთობაში მყოფი პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა;
- 1.4. „თანამშრომლები“ – „დამზღვევთან“ შრომით ურთიერთობაში მყოფი პირები, რომლებიც ჩამოთვლილნი იქნებიან დანართი N 1-ში;
- 1.5. „სადაზღვევო ლიმიტი“ - სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე - „მზღვეველის“ პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი;
- 1.6. „სადაზღვევო ბარათი“ – სადაზღვევო პოლისი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს „დამზღვევის“ („დაზღვეულის“) უფლებას „სადაზღვევო ანაზღაურებაზე“;
- 1.7. „სადაზღვევო ანაზღაურება“ - თანხა ან მომსახურება, რომელიც „მზღვეველისაგან“ ეკუთვნის „დამზღვევს“ („დაზღვეულს“) „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას“;
- 1.8. „სადაზღვევო პრემია“ - თანხა (დაზღვევის ღირებულება), რომელიც უნდა გადაუხადოს „დამზღვევმა“ „მზღვეველს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის საფასურად;
- 1.9. „სადაზღვევო შემთხვევა“ - ფაქტობრივად დამდგარი შემთხვევა, როდესაც წინამდებარე ხელშეკრულება „მზღვეველის“ მიერ „დამზღვევის“ („დაზღვეულის“) მიმართ „სადაზღვევო ანაზღაურების“ გადახდას ითვალისწინებს;

1.10. „დაზღვევის პირობები“ – „მზღვეველის“ მიერ გამოცხადებული ტენდერის NAT 180020871 პირობების შესაბამისად შემუშავებული ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.11. „უბედური შემთხვევა“ - უეცარი, მოულოდნელი მოვლენა, რომელიც მოხდა „დაზღვეულის“ ნებისგან დამოუკიდებლად, გარეშე ძალის ზემოქმედების შედეგად და გამოიწვია „დაზღვეულის“ შრომისუნარიანობის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა;

1.12. „ფორს-მაჟორი“ - სტიქიური მოვლენა, გაფიცვა, ლოკაუტი, ტერორისტული აქტი, დივერსია, საბოტაჟი, საომარი/საბრძოლო მოქმედება, სამოქალაქო მღელვარება, რევოლუცია, ეპიდემია, კონფისკაცია, ნაციონალიზაცია, რეკვიზიცია და სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც „მხარ(ებ)ის“ კონტროლს არ ექვემდებარება და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია;

1.13 ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება - ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება;

1.14 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა - მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველთან შრომით ურთიერთობაში მყოფ უცხოელი მოხალისე მასწავლებლების ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვა, (CPV66512220) ჯანმრთელობის დაზღვევის პირობების მიხედვით (დანართი N 1 - ტექნიკური დავალება);

2.2. წინამდებარე ხელშეკრულება ითვალისწინებს მზღვეველის/მიმწოდებლის ვალდებულებას გაუწიოს დაზღვეულს შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული მომსახურება (დანართი N 1 - ტექნიკური დავალება);

2.3. მიმწოდებლის პროვაიდერების და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჩამონათვალი მოცემულია დანართ N 2-ში და დანართ N 3-ში ;

2.4 წინამდებარე ხელშეკრულებისა და „დაზღვევის პირობების“ საფუძველზე „დაზღვეულებისათვის“ გაიცემა შესაბამისი „სადაზღვევო ბარათები“. წინამდებარე ხელშეკრულება, „დაზღვევის პირობებთან“ და „სადაზღვევო ბარათებთან“ ერთად შეადგენს ერთ მთლიან შეთანხმებას „მხარეებს“ შორის;

2.5. „მხარეები“ აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უკლებლივ ყველა პირობას;

2.6 მომსახურების პერიოდში დაზღვეულ პირთა დამატების და /ან გამოკლების (მათ შორის მინიმუმამდე შემცირების) შემთხვევაში, სადაზღვევო მომსახურების პირობების შემსყიდველისათვის საზიანოდ შეცვლა დაუშვებელია.

2.7 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, თითოეული „სადაზღვევო ბარათი“ გაიცემა ამავე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის დასრულებამდე ვადით.

მუხლი 3. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და პირობები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის განხორციელდება სადაზღვევო პრემიის ანაზღაურება არაუმეტეს 53 პერსონაზე, 15900.00 (თხუთმეტი ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით;

3.2 დამზღვევის მიერ მზღვეველისთვის გადასახდელი ყოველთვიური სადაზღვევო თანხის ოდენობა თითოეული დაზღვეულისთვის შეადგენს 30.00 (ოცდაათი) ლარს;

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მზღვეველის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტის (დეტალურად

გაწერილი ინვოისის) საფუძველზე შედგენილი მიღება -ჩაბარების აქტზე ხელმოწერებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ანუ მზღვეველი ყოველი საანგარიშო თვის მეორე (შემდეგი) თვის არაუგვიანეს 5 რიცხვისა წარუდგენს შემსყიდველ ორგანიზაციას ინვოისს, სადაც მიეთითება დამზღვევის მიერ შესაბამის თვეში (საანგარიშო პერიოდში) გადასახდელი პრემიის ოდენობა დაზღვეულ პირთა რაოდენობის გათვალისწინებით და თვითოეულ პირზე არსებული ასანაზღაურებელი სადაზღვევო პრემია სადაზღვევო დღეების რაოდენობის (საანგარიშო პერიოდის) შესაბამისად;

3.4. დაზღვეულ პირთა დამატების და/ან გამოკლების შემთხვევაში (აღნიშნულის შესახებ მზღვეველს ინფორმაცია მიეწოდება შემსყიდველისგან წერილობითი სახით) ინდივიდუალურ პირებზე სადაზღვევო პრემიის სიდიდე დაანგარიშდება დღეების რაოდენობის (საანგარიშო პერიოდის) მიხედვით, შემსყიდველის წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღების (დღეების) შესაბამისად;

3.5 დადგენილ ვადაში „სადაზღვევო პრემიის“ გადაუხდელობის შემთხვევაში „მზღვეველი“ უგზავნის „დამზღვევს“ წერილობით შეტყობინებას ორკვირიანი ვადის მითითებით;

3.6 შეტყობინების გაგზავნიდან ორკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ, თუ შესაბამისი „სადაზღვევო პრემია“ არ იქნება გადახდილი, „მზღვეველი“ თავისუფლდება თავისი მოვალეობებისაგან;

3.7 „სადაზღვევო შემთხვევის“ დადგომისას, „მზღვეველის“ მიერ „სადაზღვევო ანაზღაურების“ გადახდა ხორციელდება „დაზღვევის პირობებისა“ და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3.8 **დაფინანსების წყარო:** სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ქვეპროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“.

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება ყველა მოქმედ თანამედროვე სტანდარტებს და ნორმებს;

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო.

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება - 2019 წლის 17 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (მომსახურების გაწევა არ იქნება გამოყენებული ივლისსა და აგვისტოს თვეებში);

5.2 მომსახურების გაწევის ადგილი საქართველო, ოკუპირებული ტერიტორიების გარდა.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით;

6.3 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ქვეპროგრამის მიმართულების კოორდინატორს ნელი ყარაშვილს ან მისი დროებით არყოფნის შემთხვევაში „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ქვეპროგრამის სხვა თანამშრომელს. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

- 7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმების დღიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა;
- 7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;
- 7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 8.1 „მზღვეველი“/მიმწოდებელი უფლებამოსილია:
- 8.1.1. მოსთხოვოს „დამზღვევეს“ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერად, დროულად და ჯეროვნად შესრულება;
- 8.1.2 მოსთხოვოს „დამზღვევეს“, გადაიხადოს „სადაზღვევო პრემია“ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადებში;
- 8.1.3 მოსთხოვოს „დამზღვევეს“ დაზღვევის ხელშეკრულების დადებისათვის საჭირო ინფორმაციის წარდგენა „მზღვეველსა“ და „დამზღვევეს“ შორის შეთანხმებული ფორმით;
- 8.1.4 არ აანაზღაუროს ის ხარჯი, რომელიც არ არის გათვალისწინებული „დაზღვევის პირობებით“;
- 8.1.5 არ აანაზღაუროს „სადაზღვევო შემთხვევა“, თუ „დამზღვევმა“ ან/და „დაზღვეულმა“ გააფორმა ორმაგი დაზღვევა მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზნით;
- 8.1.6 არ აანაზღაუროს „უბედური შემთხვევის“ შედეგად დამდგარი „სადაზღვევო შემთხვევა“, თუ „დაზღვეული“ („დაზღვეულის“ წარმომადგენელი), ან „დამზღვევი“ წინასწარ, შეგნებულად უარს განაცხადებს იმ იურიდიული, ან ფიზიკური პირის მხრიდან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნაზე, რომელთა ქმედებამაც გამოიწვია „დაზღვეულის“ შრომისუნარიანობის დროებითი, ან მუდმივი დაკარგვა;
- 8.2 „მზღვეველი“/„მიმწოდებელი“ ვალდებულია:
- 8.2.1 განახორციელოს მაღალი ხარისხის სადაზღვევო მომსახურება „დაზღვევის პირობების“ შესაბამისად; (მომსახურების ხარისხში გულისხმობს შემსყიდველის მოთხოვნების მიხედვით აღებული ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებას, სადაზღვევო მომსახურება გაწეული უნდა იყოს დროულად, სრულად და მარტივად);
- 8.2.2 თითოეულ „დაზღვეულზე“ გასცეს შესაბამისი დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი – „სადაზღვევო ბარათი“ „დამზღვევის“ მიერ „დაზღვეულ პირთა“ სიის (მონაცემების) მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- 8.2.2 გაუწიოს „დამზღვევეს“ („დაზღვეულს“) მაღალი ხარისხის სადაზღვევო მომსახურება;
- 8.2.3 წარუდგინოს „მზღვეველს“ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებების სრული ჩამონათვალი, მასში ცვლილების შემთხვევაში შემსყიდველს მიაწოდოს ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში;
- 8.2.4 მისცეს „დაზღვეულს“ მისი პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებების არჩევის თავისუფალი და შეუზღუდავი საშუალება;
- 8.2.5 „სადაზღვევო შემთხვევის“ დადგომისას, „დაზღვეულის“ მიერ ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ გასცეს „სადაზღვევო ანაზღაურება“, „დაზღვევის პირობების“ შესაბამისად;
- 8.2.6 არ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად ვადაზე ადრე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 8.2.7 „მზღვეველის“ მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან ორი სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს მას ფორმა N IV-100ა;

8.2.8 „მზღვეველის“ მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან 48 საათის განმავლობაში მიაწოდოს მას ინფორმაცია დაზღვეულ პირთა დარჩენილი ლიმიტის შესახებ;

8.2.9 „მზღვეველის“ მოთხოვნის შემთხვევაში ჩაატაროს ინგლისურენოვანი პრეზენტაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, დაზღვეულ პირთათვის სადაზღვევო პირობების დეტალური ახსნის მიზნით;

8.2.10 ჯეროვნად შეასრულოს სატენდერო დოკუმენტაციით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

8.3 „დამზღვევი“/„შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.3.1. გადაიხადოს „სადაზღვევო პრემია“ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით, ხელშეკრულების პუნქტი 7-ით განსაზღვრული პირობების და ვადების შესაბამისად;

8.3.2. ხელი შეუწყოს „მზღვეველს“ „სადაზღვევო შემთხვევის“ დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებაში;

8.3.3. სადაზღვევო მომსახურების კოორდინაციისა და ხარისხის მუდმივი კონტროლის მიზნით გამოყოს მზღვეველთან/მიმწოდებელთან საკონტაქტო პირი (პირები);

8.3.4. სამედიცინო მომსახურების საჭიროების შესახებ დაზღვეულმა, ან ნებისმიერმა სხვა დაინტერესებულმა პირმა წინასწარ ან სამედიცინო მომსახურების დასრულებამდე შეატყობინოს „მზღვეველს“ ცხელი ხაზის საშუალებით;

8.3.5. გადაუდებელი ამბოლათორიული მომსახურების შემთხვევაში, როცა წინასწარი შეტყობინება ობიექტური მიზეზებით შეუძლებელია, ასეთი შეტყობინება უნდა გააკეთოს სამედიცინო მომსახურების დასრულებამდე ან არაუგვიანეს მომსახურების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში;

8.3.6. გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურების შემთხვევაში, როცა წინასწარი შეტყობინება ობიექტური მიზეზებით შეუძლებელია, ზემოხსენებული შეტყობინება გააკეთოს სამედიცინო მომსახურების დასრულებამდე ან არაუგვიანეს მომსახურების მიღებიდან 48 (ორმოცდარვა) საათის განმავლობაში;

8.3.7. „დაზღვეულ“ პირთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის და ან დროებითი შეჩერების, ასევე ახალი პირების დამატების დროს, დაუყოვნებლივ წერილობითი შეტყობინების სახით აცნობოს „მზღვეველს“ აღნიშნულის შესახებ;

8.3.8 ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

8.4. „დამზღვევი“/„შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

8.4.1 მოსთხოვოს მზღვეველს, განახორციელოს დაზღვევა „დაზღვევის პირობების“ შესაბამისად შეუზღუდავი არჩევანით;

8.4.3 გაეცნოს მზღვეველის მიერ წარმოდგენილ „დაზღვევის პირობებს“;

8.4.4. მოსთხოვოს „მზღვეველს“ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის – „სადაზღვევო ბარათის“ „დაზღვეულებისათვის“ გადაცემა დაზღვეულ პირთა სიის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა;

8.4.5. მოსთხოვოს „მზღვეველს“ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

მუხლი 9. განსაკუთრებული პირობა

9.1. დაზღვეულ პირთა დამატება და/ან გამოკლება მოხდება შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. შესაბამისად ინდივიდუალურ პირებზე დაზღვევის სრული ან დროებითი შეჩერება და /ან ახალი პირების დაზღვევა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან;

9.2 ივლისის თვიდან შესაძლებელია მოხდეს დაზღვეულთა რაოდენობის მკვეთრი (მინიმუმამდე) შემცირება;

9.3. შემსყიდველ ორგანიზაციაზე სადაზღვევო მომსახურების გაწევის განმავლობაში მზღვეველის მიერ გამოყოფილი უნდა იყოს ინგლისურენოვანი (ინგლისურ ენაზე თავისუფლად მოსაუბრე) საკონტაქტო პირი, რომელთანაც შესაძლებელი იქნება უცხოელი მოხალისეების დაკონტაქტება და რომელიც უზრუნველყოფს დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული სამედიცინო პირობების გაცნობას და სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას 24 საათის განმავლობაში;

9.4 არასამუშაო საათებში (დღეებში) სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში, დაზღვეული უფლებამოსილია ოჯახის ექიმის მიმართვის გარეშე, ცხელ ხაზზე შეტყობინების საფუძველზე, ისარგებლოს „მიმწოდებლის“ პროვაიდერი კლინიკის სამედიცინო მომსახურებით, მომსახურე კლინიკის ექიმის სამედიცინო დასკვნის საფუძველზე;

9.5 დაზღვეული უფლებამოსილია „მიმწოდებლის“ მიერ განსაზღვრული პროვაიდერი სამედიცინო კომპანიების ქსელის ფარგლებში, ისარგებლოს მისთვის სასურველი ნებისმიერი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულების მომსახურებით;

9.6 ანაზღაურებას ექვემდებარება ქრონიკული და დაზღვევამდე არსებული დაავადებების მკურნალობა;

9.7 ამ მუხლის 9.2 პუნქტის დადგომის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გააგრძელოს სადაზღვევო მომსახურება არსებული პირობებით.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. მზღვეველის/მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულმა გამოიწვია დაზღვეული თანამშრომლის ზარალი (როგორც ფინანსური ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება) მზღვეველი სრულიად 100%-ით ანაზღაურებს ფინანსურ ზარალს დაზღვეული თანამშრომლის წინაშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მზღვეველის მხრიდან აღნიშნული პირობების შეუსრულებლობა გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით/გარემოებებით.

10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიზეზით გამოწვეული მომსახურების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

10.3. მზღვეველის მხრიდან პროვაიდერი სამედიცინო ქსელის არჩევანის შეზღუდვის, ან პროვაიდერ სამედიცინო ქსელში შემავალი დაწესებულებების ჩამონათვალში შეტანილი ცვლილებების შესახებ შემსყიდველის არაინფორმირებულობის დაფიქსირების შემთხვევაში, შემსყიდველი აფრთხილებს მზღვეველს, ხოლო ასეთი ფაქტის განმეორების შემთხვევაში დამზღვევი უფლებამოსილია დააყენოს ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი და/ან დააკისროს მას ჯარიმა ყოველ ასეთ შემთხვევაზე 1000 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. რეგრესის უფლება

11.1 „სადაზღვევო ანაზღაურების“ გაცემის შემდეგ „მზღვეველზე“ გადადის რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც „დამზღვევს“ („დაზღვეულს“, „მოსარგებლეს“) გააჩნია „უბედური შემთხვევის“ შედეგად მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ;

11.2 „დამზღვევი“ („დაზღვეული“, „მოსარგებლე“) ვალდებულია ხელი შეუწყოს და გადასცეს „მზღვეველს“ ყველა მასთან არსებული დოკუმენტი და მიიღოს ყველა ზომა, რათა მოხდეს „მზღვეველის“ ამ მუხლით განსაზღვრული უფლების რეალიზება;

11.3 „დამზღვევის“ („დაზღვეულის“, „მოსარგებლის“) მიერ ამ მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში „მზღვეველს“ უფლება აქვს უარი თქვას „სადაზღვევო ანაზღაურების“ გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული თანხის უკან დაბრუნება.

მუხლი 12. კონფიდენციალობა

„მხარეები“ ვალდებული არიან, მეორე „მხარესთან“ წერილობით შეუთანხმებლად არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე „მხარის“ შესახებ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას მოითხოვს კანონი.

მუხლი 13. დაზღვევის პირობების შეცვლის წესი

13.1 „დამზღვევის“ სურვილით შესაძლებელია ნებისმიერ დროს შეიცვალოს „დაზღვეულთა“ რაოდენობა: „დაზღვეულთა“ რაოდენობის ცვლილება გულისხმობს დაზღვეულთა სიით განსაზღვრული „დამზღვევის“ თანამშრომლის სხვა თანამშრომლით ჩანაცვლებას, „დაზღვეულთა“ რაოდენობის გაზრდას ან შემცირებას. (მათ შორის მინიმუმამდე). „დაზღვეულთა“ რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში „დამზღვევის“ მიერ ყოველთვიურად გადასახდელი „სადაზღვევო პრემიისა“ განისაზღვრება არსებული ცვლილების მიხედვით „დაზღვეულთა“ რაოდენობის და მათი შესაბამისი სადაზღვევო მომსახურების დღეების (საანგარიშო პერიოდის) შესაბამისად. ყოველი ასეთი ცვლილება ფორმდება დანართის სახით;

13.2 „დაზღვეულთა“ რაოდენობის გაზრდასა „დამზღვევი“ აწოდებს „მზღვევლს“ „დაზღვეულთა“ შესახებ ყველა საჭირო მონაცემს და იხდის სადაზღვევო პერიოდის (თვის განმავლობაში სადაზღვევო დღეების მიხედვით) შესაბამის პრემიას.

მუხლი 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელონ მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება;

14.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ინსპექტირების ჩატარებისათვის ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;

14.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

14.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით კონტროლის მექანიზმი გამოიყენოს დაზღვეულის ცალკეული მოთხოვნის საფუძველზე;

14.5 შემსყიდველი უფლებამოსილია წერილობით ან სატელეფონო შეტყობინების სახით აცნობოს მიმწოდებელს მომსახურებაში არსებული ხარვეზების (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებთან შეუსაბამობის) შესახებ და მოითხოვოს მისი გამოსწორება უმოკლეს ვადაში;

14.6 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტისა ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული მომსახურების ხელახალი გაწევა;

14.7 შემსყიდველის მოთხოვნის მიუხედავად მომსახურებაში არსებული ხარვეზის აღმოფხვრელობის და/ან შემსყიდველისთვის მიუღებელი ხარისხის დარჩენის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

14.8 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ქვეპროგრამის მენეჯერი თუა ვახტანგაძე ან მისი დროებით არყოფნის შემთხვევაში „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ პროგრამის სხვა თანამშრომელი, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს 15.1. პუნქტში აღნიშნულ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არაუმცირეს ერთი თვით ადრე;

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

15.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

15.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

15.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

15.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

15.5 ამ მუხლის 15.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 16. ქვეკონტრაქტორები

16.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ქვეკონტრაქტორის (ქვეკონტრაქტორების) აყვანის ან შეცვლის შესახებ (ქვეკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). ქვეკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადადებარე ხელშეკრულების დამატების სახით;

16.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;

16.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

მუხლი 17. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

17.1 ხელშეკრულებაში შესაძლებელია მოხდეს დაზღვეულ პირთა რაოდენობის (დანართი 1- ის) ცვლილება დაზღვეულ პირთა დამატების და/ან გამოკლების სახით. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი შეტყობინების სახით აცნობოს მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ. შესაბამისად აღნიშნულ პირებზე სადაზღვევო მომსახურება შეწყდება (გავრცელდება) შემსყიდველის მიერ შეტყობინებაში მითითებული დღიდან. დაზღვეულ პირთა დამატების შემთხვევაში პოლისების მიწოდება მოხდება არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა;

17.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

17.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული

ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
17.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 18. ფორსმაჟორი.

18.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

18.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

18.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

მუხლი 19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 17 იანვრიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 20. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

20.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

20.2 თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21. სხვა პირობები

21.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

21.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

21.3 მესამე პირთან (პირებთან) ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

21.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

21.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;

21.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

21.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

21.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

21.9 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, მხარეების მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელისმოწერა და შტამპი;

21.10 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს;

21.11 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 22. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული

განვითარების ეროვნული ცენტრი



მიმწოდებელი:

სს „დაზღვევის საერთაშორისო

კომპანია ირაო“

ვახტანგ დეკანოსიძე

გენერალური დირექტორი

1. შესყიდვის ობიექტი: ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურება.

2. მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობების შესაბამისად:

- 1) დაზღვეულთა რაოდენობა – არაუმეტეს 53 პერსონა;
- 2) ასაკობრივი ზღვარი – ულიმიტო;
- 3) ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში თანამშრომლების (რაოდენობის მიუხედავად), იგივე პირობებით დამატების და გამოკლების შესაძლებლობა;
- 4) დაზღვეულ პირს უნდა ჰქონდეს პროვაიდერი და არაპროვაიდერი კლინიკების, მათ შორის ამბულატორიული, ჰოსპიტალური და სტომატოლოგიური კლინიკა, არჩევის თავისუფლება. დაზღვეულის მხრიდან არაპროვაიდერი კლინიკის (ჰოსპიტალური, ამბულატორიული და სტომატოლოგიური) არჩევის შემთხვევაში იგი ტელეფონის საშუალებით (სადაზღვევო კომპანიის „ცხელი ხაზი“) ატყობინებს სადაზღვევო კომპანიას მისთვის სასურველი სამკურნალო დაწესებულების არჩევის თაობაზე. შესაბამისად, პირად ექიმთან ვიზიტი და მისი მიმართვა სავალდებულო არ არის. ასეთ შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს სადაზღვევო კომპანიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე;
- 5) შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს დაზღვეულ პირთა (თითოეული ინდივიდუალური დაზღვეულის) ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების დეტალური და ჯამური აღრიცხვა და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა შემსყიდველისთვის;
- 6) შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს დაზღვეული პირის დარჩენილი ლიმიტის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა მოთხოვნიდან 48 საათის განმავლობაში .
- 7) მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს ინგლისურის მცოდნე ოჯახის ექიმები და ვიწრო პროფილის სპეციალისტები თბილისში და რეგიონების მთავარ ქალაქებში. (რეგიონებში ინგლისური ენის მცოდნე ექიმების არ არსებობის შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს ექიმსა და მოხალისეს შორის ინგლისურენოვანი კომუნიკაცია).

3. შემოთავაზებული პაკეტი მოიცავს არანაკლებ შემდეგ მომსახურებებს.

- 1) 24-საათიანი სატელეფონო კონსულტაცია – 100%, ულიმიტო;
- 2) ოჯახის ექიმის მომსახურება – 100%, ულიმიტო;
- 3) პროფილაქტიკური გამოკვლევები – 100%, არანაკლებ წელიწადში ერთხელ;
- 4) სასწრაფო სამედიცინო დახმარება – 100%, ულიმიტო;
- 5) გეგმიური და გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება – 100%, 10 000 ლარი;
- 6) გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება – 100%, ულიმიტო;
- 7) გეგმიური ამბულატორია - არანაკლებ 60%, 1000 ლარი.
- 8) ორსულობა – 100%, 300 ლარი (მოცდა არ განიხილება);
- 9) გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება – 100%, ულიმიტო;
- 10) გეგმიური სტომატოლოგია - არანაკლებ 60%, 700 ლარი;(პროვაიდერ კლინიკებში)
- 11) მედიკამენტების ანაზღაურების შესაძლებლობა - 60%, არანაკლებ 1000 ლარი;
- 12) სეზონური აცრები, იმუნიზაცია -- წელიწადში ერთხელ,100%
- 13) უბედური შემთხვევის დაზღვევა –3 000 ლარი.

4. ზარალის ანაზღაურება:

- 1) ზარალის ანაზღაურება (არაპროვაიდერი კლინიკის არჩევის შემთხვევაში) უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

ა. 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში დაზღვეულმა უნდა წარუდგინოს მზღვეველს შესაბამისი დოკუმენტაცია (წარსადგენი დოკუმენტაცია განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ), ხოლო მზღვეველი საბუთების სრულად მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში აანაზღაურებს დაზღვეულის დანახარჯს, სადაზღვევო პირობების შესაბამისად.

ბ. არანაკლებ 300 (სამასი) ლარამდე თანხის ანაზღაურება უნდა მოხდეს ნაღდი ანგარიშსწორებით (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დაზღვეული პერსონა იმყოფება რეგიონში), ხოლო 300 (სამასი) ლარის ზევით თანხის ანაზღაურება (ან რეგიონში მყოფი პერსონის 300 (სამასი) ლარზე ნაკლების შემთხვევაში) უნდა მოხდეს საბანკო გადარიცხვის გზით.

5. სადაზღვევო მომსახურების პირობები:

1) მიმწოდებელმა უმოკლედ დროში უნდა უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისების დამზადება, დაზღვეულებისათვის მიწოდება და მომსახურების უზრუნველყოფა;

2) თითოეული დაზღვეული პირისათვის უნდა დამზადდეს ინდივიდუალური სადაზღვევო პოლისი (ბარათი) ინგლისურ ენაზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მიმდინარე სადაზღვევო პროგრამის პირობების შესახებ. სადაზღვევო ბარათები მიწოდებული უნდა იყოს შემსყიდველის მიერ ინფორმაციის მიწოდებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

6. განმარტებები.

1) **ასისტანსი** - ითვალისწინებს 24 საათიან სატელეფონო კონსულტაციას, დაზღვეულისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას სამედიცინო დაზღვევის პროგრამებთან და პროვაიდერებთან დაკავშირებით, ოჯახის ექიმთან ვიზიტის და ოჯახის ექიმის ბინაზე გამოძახების დაგეგმვას, სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას;

2) **ოჯახის ექიმის მომსახურება** - ითვალისწინებს ოჯახის ექიმის მიერ დაზღვეულ პირთა კონსულტირებას (საჭიროების შემთხვევაში ბინაზე), თითოეულ დაზღვეულზე სამედიცინო ანკეტის წარმოებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს, საჭირო გამოკვლევებისა და მკურნალობის კონტროლს, საჭიროების შემთხვევაში დანიშნულების და გეგმიურ ამბულატორიულ მომსახურებაზე მიმართვის ფურცლის გაცემას.

3) **პროფილაქტიკური კვლევა** ითვალისწინებს სამედიცინო ჩვენების გარეშე, სადაზღვევო კომპანიის პირადი ექიმის მიმართვის საფუძველზე, შემდეგ სამედიცინო კვლევების ჩატარებას:

ა) სისხლის საერთო ანალიზი;

ბ) გლუკოზის განსაზღვრა სისხლში;

გ) შარდის საერთო ანალიზი;

დ) ელექტროკარდიოგრაფია;

ე) ერთი ორგანოს ექოსკოპია;

4) **სასწრაფო სამედიცინო მომსახურება** - ითვალისწინებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენას და ჩვენების შესაბამისად სამედიცინო დაწესებულებამდე ტრანსპორტირებას.

5) **ჰოსპიტალიზაცია** - ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან იმ სამკურნალო/დიაგნოსტიკური ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც დაზღვეულს გაეწევა ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში და სადაც დაზღვეულის დაყოვნება აღემატება 24 საათს.

6) **გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება** - ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში

დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებულ იმ ჰოსპიტალური სამკურნალო ღონისძიებების ერთობლიობას, რომლის გადავადების პირობებში გარდაუვალა დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, დაინვალიდება და/ან სიკვდილი.

7) **გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება** - ითვალისწინებს სამედიცინო ჩვენებით, დაზღვეულის განთავსებას, ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში გეგმიური თერაპიული და/ან ქირურგიული სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

8) **ორსულობა** ითვალისწინებს, სამედიცინო ჩვენებით ჩატარებული, ორსულობასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურებების და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას. ორსულობასთან დაკავშირებული მედიკამენტები ანაზღაურდება ორსულობის ლიმიტიდან ორსულობის პროცენტული დაფარვის შესაბამისად.

9) **ამბულატორია** - ითვალისწინებს დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებულ იმ სამკურნალო/დიაგნოსტიკური ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც დაზღვეულს გაეწევა ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც დაზღვეულის დაყოვნება არ აღემატება 24 სთ-ზე მეტ ხანს.

10) **გადაუდებელი ამბულატორია** - ითვალისწინებს სადაზღვეო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებულ იმ ამბულატორიული ღონისძიებების ერთობლიობას, რომლის გადავადების პირობებში გარდაუვალა დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, დაინვალიდება და/ან სიკვდილი.

11) **გეგმიური ამბულატორია** - ითვალისწინებს სამედიცინო ჩვენებით, ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარებულ:

1) ვიწრო პროფილის ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციებს;

2) ლაბორატორიულ გამოკვლევებს;

3) ინსტრუმენტულ გამოკვლევებს;

4) ამბულატორიულ მანიპულაციებს და მკურნალობას.

5) ქიმიო და სხივური თერაპია (გეგმიური ამბულატორიის და მედიკამენტების ლიმიტისა და თანაგადახდის ფარგლებში);

12) **მედიკამენტები** - ითვალისწინებს დაზღვეულისთვის სადაზღვეო კომპანიის ოჯახის ექიმის და/ან შესაბამისი სერტიფიკატის მქონე ვიწრო პროფილის ექიმ-სპეციალისტის მიერ სამედიცინო ჩვენებით, ამბულატორიული მკურნალობის ჩატარების მიზნით დანიშნული მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებას (ერთჯერადად ანაზღაურებას ექვემდებარება მკურნალობის მაქსიმუმ 1 თვიანი კურსი).

13) სტომატოლოგია

ა. **გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება** - ითვალისწინებს კბილის მწვავე ტკივილის გაყუჩებას, რენტგენს, არხის გახსნას და კბილის ექსტრაქციას ნებისმიერ შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევის უფლების მქონე სტომატოლოგიურ დაწესებულებაში.

ბ. **გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურება:**

ითვალისწინებს კარიესის, პულპიტის, პერიოდონტიტის მკურნალობას, გეგმიურ ქირურგიულ მანიპულაციებს, კბილების ჰიგიენურ გაწმენდას (წელიწადში ერთხელ). მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს პაროდონტიტის, ღრძილისა და ალვეოლური მორჩის დაავადებების დიაგნოსტიკის და მკურნალობის ხარჯები.

მოსარგებლეს აღნიშნული მომსახურების მიღება შეუძლია მხოლოდ მზღვეველის მიერ მითითებულ პროვაიდერ სტომატოლოგიურ დაწესებულებებში.

14) **სეზონური აცრები, იმუნიზაცია** - სეზონური აცრები, იმუნიზაცია მოიცავს მხოლოდ გრიპის ვაქცინაციას.

15) **უბედური შემთხვევის დაზღვევა**

ა. უბედურ შემთხვევაში“ იგულისხმება - უეცარი, მოულოდნელი მოვლენა, რომელიც მოხდა „დაზღვეულის“ ნებისგან დამოუკიდებლად, გარეშე ძალის ზემოქმედების შედეგად და გამოიწვია დაზღვეულის შრომისუნარიანობის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა .

ბ. უბედური შემთხვევისგან დაზღვევა - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში უბედური შემთხვევით გამოწვეული მუდმივი, სრული, მუდმივი ნაწილობრივი ან დროებითი შრომისუნარიანობის დაზღვეულისათვის ან ბენეფიციარისათვის, დაზღვევის პირობებით განსაზღვრული, სადაზღვევო თანხის სრული ოდენობით ანაზღაურება.

